



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ68.682209710

თარიღი:07/04/2022

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ზ“ ქვეპუნქტის,118-ე მუხლის პირველი პუნქტის,119-ე მუხლის მე-2 პუნქტის,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით დანართი N 1-ის შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/.

2.განისაზღვროს:

ა)წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.

ბ) „ ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.

3.აუქციონი გამოცხადდეს 2022 წლის 8 აპრილს 16 საათზე და დასრულდეს 2022 წლის 13 აპრილს 16 საათზე.

4.ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე:WWW.esuction.ge.

5.ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდზე:WWW.kharagauli.ge და მუნიციპალიტეტის ა(ა). ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის გაზეთ „ახალ ხარაგაულში“ .

6.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს

**ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში
(მის. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).**

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

